საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.01.2014, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.05.001.017312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 53-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 პუნქტი:

„10^1. სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.“.

2. 63-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დაევალოს საქართველოს მთავრობას, 2017 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

30 ივნისი 2017 წ.

N1197-IIს